



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პაშტკიცება“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

Handwritten signature in blue ink.

29 ნოემბერი 2019 წელი
N 63/36

ეგზ.: N1

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	7
	მოსაზრება	7
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	8
	2. სხვა საკითხები	21
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	23
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	25
	კონსოლიდირებული ერთეულები	30
	საკონტაქტო ინფორმაცია	31
დანართები		

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

წარდგენის საფუძვლები – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას და მონაწილეობს სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელებაში. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 5 ივლისს განხორციელდა ცვლილება – სამთავრობო უწყებების გაერთიანება/ოპტიმიზაცია და მათ შორის ფუნქციების გადანაწილება. ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მის უფლებამოსილებად განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:¹

ცხრილი N1. დამტკიცებული, დაზუსტებული გეგმები და საკასო ხარჯი

32 00 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
	1	2	3	3/2
ჯამური	1,186,215,000	1,202,413,893	1,199,799,687	100%
ხარჯები	1,104,490,000	1,076,478,360	1,060,839,456	99%
არაფინანსური აქტივების ზრდა	61,425,000	105,635,533	122,785,042	116%
ფინანსური აქტივების ზრდა	20,300,000	20,300,000	16,175,188	80%

33 00 - საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
	1	2	3	3/2
ჯამური	302,755,000	313,369,404	311,980,592	100%
ხარჯები	270,296,000	286,316,835	285,061,609	100%
არაფინანსური აქტივების ზრდა	32,459,000	26,752,569	26,618,983	100%
ფინანსური აქტივების ზრდა	0	300,000	300,000	100%

სამინისტროს სისტემა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კოდების მიხედვით შედგება შემდეგი მიმართულებებისგან: საბიუჯეტო კოდი: 32 00 – 11 (თერთმეტი) ძირითადი საქმიანობის მიმართულებისგან, საბიუჯეტო კოდი: 33 00 – 7 (შვიდი) ძირითადი საქმიანობის მიმართულებისგან.

ცხრილი N2. ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ

32 00 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კოდი	დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	დამტკიცებული ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	29,630,000	30,107,803	29,927,443	2%
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	678,065,000	676,358,790	676,207,282	57%
32 03	პროფესიული განათლება	40,800,000	32,394,776	31,586,993	3%
32 04	უმაღლესი განათლება	143,840,000	157,472,692	153,765,593	12%
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	65,600,000	64,577,049	63,800,095	6%
32 06	ინკლუზიური განათლება	5,135,000	4,848,817	4,827,375	0%
32 07	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	97,210,000	103,008,541	102,858,319	8%
32 08	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	4,200,000	6,923,924	5,443,525	0%
32 09	„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ – მეორე პროექტი	101,235,000	102,571,500	111,357,873	9%
32 10	თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი	200,000	-	-	0%

¹ ცხრილები არ მოიცავს საკუთარ სახსრებს, 100%-ზე მეტი შესრულების მაჩვენებლი კი მიღებულია მიზნობრივი გრანტებით.

32 11	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)	20,300,000	24,150,000	20,025,188	2%
სულ:		1,186,215,000	1,202,413,893	1,199,799,687	100%

33 00 – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კოდი	დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	დამტკიცებული ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში
33 01	კულტურისა და სპორტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	7,455,000	5,948,017	5,814,606	2%
33 02	საქართველოში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია	80,795,000	79,655,853	79,361,397	27%
33 03	სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობა	22,640,000	24,114,882	23,880,092	7%
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	22,001,000	27,492,164	27,347,721	7%
33 05	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	142,100,000	152,429,166	151,877,171	47%
33 06	კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	7,560,000	12,889,953	12,888,743	2%
33 07	კულტურისა და სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურულ პროექტების მხარდაჭერა	20,204,000	10,839,369	10,810,861	7%
სულ:		302,755,000	313,369,404	311,980,592	100%

ცხრილი N3. ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული თანხების საკასო ხარჯი

32 00 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დასახელება	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
	1	2	2/1
ჯამური	393,324,538	325,775,443	83%
ხარჯები	325,560,642	286,510,659	88%
არაფინანსური აქტივების ზრდა	67,753,896	39,264,784	58%
ვალდებულებების კლება	10,000	-	0%

33 00 – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

დასახელება	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
	1	2	2/1
ჯამური	43,380,497	36,864,505	85%
ხარჯები	36,617,538	33,356,689	91%
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,762,959	3,507,817	52%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების² (ერთად – ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს³ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი დასკვნის აბზაცში – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

² იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 კონსოლიდაცია

სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა (32 01 01 კოდი) და მის კონტროლირებულ ერთეულებს (სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები და სხვ.) შორის განხორციელდა შიდაჯგუფური ოპერაციები: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსება, სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტების დაფინანსება, კოლეჯების დაფინანსება პროექტის – „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა“, ფარგლებში და ა.შ. აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ელიმინირდეს⁴ ცენტრალურ აპარატსა და კონტროლირებად ერთეულებს შორის მომხდარი შიდაჯგუფური ოპერაციები. გამოვლინდა, რომ კონსოლიდაციის პროცესში არ არის ელიმინირებული/გამორიცხული ამ ოპერაციების მიხედვით მიღებული დაფინანსება და გაწეული ხარჯები შემდეგი პროგრამული კოდების მიხედვით **706,762,446 ლარის** ოდენობით:

ცხრილი N4. ინფორმაცია ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში – ფორმა N2 არაელიმინირებული თანხების შესახებ

N	კოდი	პროგრამის დასახელება	თანხა
1	32 02 01	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება	596,139,356
2	32 02 04 01	„წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება“ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განკარგვა	90,022
3	32 02 07	„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“	287,077
4	32 02 09	ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	109,174
5	32 02 12	სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა	523,932
6	32 02 13 01	ზოგადი განათლების ხელშეწყობა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განკარგვა	58,016
7	32 02 14 01	ელექტრონული სწავლება (eLearning) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განკარგვა	89,969
8	32 03 01 01	პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განკარგვა	14,135,468
9	32 04 02 01	სახელმწიფო სასწავლო გრანტი	86,329,704
10	32 04 02 02	სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი	4,138,138
11	32 04 02 04	პროგრამა „ცოდნის კარი“	548,960
12	32 04 02 05	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსება	901,013
13	32 04 02 06	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება	2,250
14	32 04 02 07	მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა	1,388,125
15	32 05 05	მეცნიერების პოპულარიზაცია	1,598,349
16	32 06 01 01	ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განკარგვა	422,893
სულ:			706,762,446

⁴ ინსტრუქციის 39-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

ამასთანავე, აღნიშნული ფაქტი არ არის მითითებული განმარტებით შენიშვნებში.⁵ შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში – ფორმა N2-ში გაზრდილია დარიცხული შემოსავალი და ხარჯი – 706,762,446 ლარის ოდენობით.

1.2 გრძელვადიანი აქტივები

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N5. ინფორმაცია სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების შესახებ

დასახელება	ანგარიში	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	98,327,138	100,956,461
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	12,902,086	11,780,195
ძირითადი აქტივები	2100	1,613,583,792	1,401,538,503
ფასეულობები	2300	3,458,669	3,294,270
არაწარმოებული აქტივები	2400	541,202,853	528,293,755

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს „ძირითადი აქტივების“ მუხლით აღრიცხული შენობა-ნაგებობები, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები და ა.შ., არაწარმოებული აქტივები – მიწა. „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლში აღრიცხული თანხის არსებით ნაწილს შეადგენს შპს „სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანები, რომელიც აღიარებულია „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ მუხლით.

1.2.1 შემცირებულად წარდგენილი გრძელვადიანი მატერიალური აქტივები

სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-ებში სარგებლობის უფლებით, მათი არსებობის ვადით, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონება – შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი არ არის შეფასებული და აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში:⁶

ცხრილი N6. ინფორმაცია აღურიცხავი გრძელვადიანი აქტივების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება	ფართობი კვ.მ
სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	160,082
სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	1,314
სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	7,002
სულ:	168,398

სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი

➤ ინსტიტუტის მიერ 2018 წელს არასწორად განხორციელდა გასულ პერიოდში (2016 წელი) შენობაზე გაწეული 864,770 ლარის ღირებულების კაპიტალური სარემონტო სამუშაოების სააღრიცხვო კორექტირება საბალანსო ანგარიშების მიხედვით;⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018

⁵ ინსტრუქციის 39-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

⁶ ინსტრუქციის მე-10 მუხლი.

⁷ ინსტრუქციის 144-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

წლის დასაწყისისათვის ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულება შემცირებულია 240,864 ლარით, ხოლო წლის ბოლოს – 70,854 ლარით. ასევე კაპიტალის საწყისის ნაშთი შემცირებულია 71,689 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 70,854 ლარით;

- 2018 წელს შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯიასთან“⁸ და შპს „პეგასთან“⁹ გაფორმებული ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით, განხორციელდა ინსტიტუტის N5 შენობის არსებითი გაუმჯობესება-განახლება, რამაც გააუმჯობესა აქტივის საექსპლუატაციო თვისებები. აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, აქტივების არსებითი გაუმჯობესება განიხილება აქტივების მიღების ოპერაციად, რომელიც ზრდის მის ღირებულებას.¹⁰ ამის ნაცვლად, ინსტიტუტმა არ მოახდინა 105,447 ლარის შესრულებული სარემონტო სამუშაოების კაპიტალიზაცია. შესაბამისად, შემცირებულია ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი 104,393 ლარით;¹¹
- ბალანსში არაწარმოებული აქტივების – მიწის საბალანსო ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2008 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების შესაბამისად, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით ინსტიტუტის არსებობის ვადით გადაცემული ქ. თბილისში, გოთუას ქ. N3-ში მდებარე 12,770 კვ.მ მიწის ნაკვეთი¹² – 3,831,000 ლარის ღირებულებით. შედეგად, შემცირებულია არაწარმოებული აქტივების – მიწის ღირებულების საწყისი და საბოლოო ნაშთი – 3,831,000 ლარით.

სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არ განუხორციელებია სხვადასხვა ორგანიზაციის ბალანსზე (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების) აღრიცხულ ძირითად აქტივებზე – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამის (33 04 03 02 კოდი) ფარგლებში – 4,227,678 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოების გადაცემა მათი ღირებულების გაზრდის (კაპიტალიზაციის) მიზნით და პირველადი დოკუმენტაციის გარეშე (მიღება-ჩაბარების აქტები და ა.შ.) ბალანსიდან ჩამოწერილია აღნიშნული ღირებულების ძირითადი აქტივები.

აღნიშნული თანხიდან შესრულებული სამუშაოები ღირებულებით – 345,954 ლარი, განხორციელებულია სამინისტროს კონტროლირებადი სსიპ-ების შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია და ამ თანხით არ არის გაზრდილი მათი ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი.

⁸ ხელშეკრულება N114; 13.12.2017 წელი.

⁹ ხელშეკრულება N62; 03.05.2018 წელი.

¹⁰ ინსტრუქციის 144-ე მუხლის 21-ე და 22-ე პუნქტები.

¹¹ ცვეთის გათვალისწინებით – 105,447-1,054=104,393.

¹² საკადასტრო კოდები: 01.10.13.016.065 და 01.10.13.016.020.

ცხრილი N7. აქტივების საბოლოო ნაშთების შემცირება სსიპ-ების მიხედვით:

გადახდის დანიშნულება	თანხა
დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშ. N3/277ტ; 01.06.2018.	102,275
სსიპ – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ხელშ. N3/284; 04.06.2018.	100,000
ქ. თბილისი, ისნის ქ. N24-ში მდებარე შენობის (სსიპ – შემოქმედებითი საქართველო) დროებითი გამაგრების სამუშაოები. ხელშ. N3/289ტ; 06.06.2018.	23,093
სსიპ – ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშ. N3/349ტ; 18.07.2018.	27,502
დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის III ეტაპის სამუშაოები. ხელშ. N3/418; 24.09.2018.	93,083
სულ:	345,954

**1.2.2 გაზრდილად
წარდგენილი ძირითადი
აქტივები**

არასწორი კლასიფიკაცია

- **სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში** 2018 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა ბალანსზე აღრიცხული შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი ძირითადი აქტივები, წლის ბოლოს 430,467 ლარის საბალანსო ღირებულებით, რომელთაც დაერიცხა ცვეთა 9,075 ლარის ოდენობით; აღნიშნული ქონებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს;¹³ ასევე უკვე სრულად ამორტიზებული გამოუყენებელი ძირითადი აქტივები 272,860 ლარის ისტორიული ღირებულებით, რომელთა ჩამოწერა თეატრმა არ განახორციელა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.¹⁴ შედეგად, გაზრდილია თეატრის ბალანსის ძირითადი აქტივების მუხლი 430,467 ლარით;
- **სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში** არ განხორციელდა 2017 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი უნივერსიტეტისათვის შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერა; აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსში ძირითადი აქტივების ნაშთი წლის ბოლოს გაზრდილია 13,601 ლარის ოდენობით; ასევე არ ჩამოიწერა ბალანსის საცნობარო მუხლში რიცხული 238,476 ლარის ისტორიული ღირებულების სრულად ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები.
- **სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის** მიერ არ განხორციელდა 2018 წელს შესრულებული 2,620,743 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების კაპიტალიზება – აქტივების ღირებულების გაზრდა. ამის ნაცვლად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება ასახულია „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“¹⁵ საბალანსო ანგარიშზე. მოცემული უზუსტობის შედეგად, 74,420 ლარის ოდენობით შემცირებულია ცვეთის ხარჯი და ამავე თანხით გაზრდილია ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი;
- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვადასხვა სსიპ-ის მიხედვით, ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშზე არასწორად აღრიცხულია გასულ წლებში შეძენილი 249,404 ლარის ისტორიული

¹³ ინსტრუქციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵ ინსტრუქციის 142-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, რომელთა ერთეულის ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზრდილია ძირითადი აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 167,733 ლარით.

ცხრილი N8. არასწორად კლასიფიცირებული აქტივები

ორგანიზაციის დასახელება	ისტორიული ღირებულება	საბალანსო ღირ-ბა 31.12.2018
სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	10,539	7,490
ა(ა)იპ – სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი	183,158	139,109
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	40,752	11,416
სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	14,955	9,718
სულ:	249,404	167,733

1.2.3 არამატერიალური აქტივები

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
ცენტრის მიერ ბალანსზე აღრიცხულია 2011-2016 წლებში შეძენილი საწყისი ისტორიული ღირებულების 216,614 ლარის არამატერიალური აქტივები. აქტივების ძირითადი ნაწილი – სახელმძღვანელოების პროგრამები და ტრენინგებისათვის საჭირო ვიდეომასალა – შეძენის წელსვე გადაცემულია მასწავლებლებზე/მსმენელებზე, ხოლო დარჩენილ ნაწილს ცენტრი აღარ იყენებს, ესენია: უკვე შეცვლილი სახელმძღვანელოების პროგრამების სავტორო უფლებები, ვიდეორგოლები, რომელთა ჩვენება აღარ არის თემატურად აქტუალური, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ლიცენზია და ა.შ. აღნიშნული არამატერიალური აქტივები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს¹⁶ და ექვემდებარება ჩამოწერას. შედეგად, არამატერიალური აქტივების საბალანსო მუხლი გაზრდილია წლის დასაწყისში – 101,028 ლარით, წლის ბოლოს – 79,367 ლარით.

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

სააგენტოს ბალანსში „არამატერიალური აქტივების“ მუხლში აღრიცხულია 775,537 ლარის ღირებულების პროექტები და კვლევები, რომლებიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. აღნიშნული პროექტებისა და კვლევების მიხედვით, ჩატარებულია და დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები, შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოცემული პროექტების/კვლევების ღირებულებით უნდა გაზრდილიყო შესაბამისი ძირითადი აქტივების ღირებულება.¹⁷

სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა იყოს ასახული გასულ წლებში შეძენილი 410,731 ლარის ისტორიული ღირებულების ის არამატერიალური აქტივები – ვებგვერდები, ვიდეორგოლები და პროგრამები, რომლებიც აღარ გამოიყენება და არ მიიღება ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 229,144 ლარის ოდენობით გაზრდილია ბალანსის არამატერიალური ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშის ნაშთი.

¹⁶ ინსტრუქციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁷ ინსტრუქციის 144-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

არამატერიალური აქტივების 2018 წლის საბოლოო ნაშთი 315,729 ლარით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია, რიგ შემთხვევაში, ისტორიული ღირებულების არასწორად განსაზღვრით, ამორტიზაციის კოეფიციენტის არასწორად შერჩევით და ა.შ.

სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

თეატრის მიერ არამატერიალური აქტივების საბალანსო ანგარიშზე არ არის აღრიცხული დადგმული სპექტაკლების ვიდეოჩანაწერები (ღირებულებით – 23,066 ლარი), რასაც ახორციელებს ყოველწლიურად როგორც საპრემიერო, ასევე ადრე დადგმული განმეორებადი ჩვენებების გადაღებისას. აღნიშნული ჩანაწერები თეატრის მიერ გამოიყენება ძირითად საქმიანობაში, როგორცაა: ძველ რეპერტუარში არსებული სპექტაკლის აღდგენა ახალ სეზონში (სადადგმო მეხსიერების შესანარჩუნებლად), ქვეყნის შიგნით და გარეთ გასტროლების ორგანიზებისათვის, საერთაშორისო სივრცეში თეატრის საქმიანობის წარსადგენად (პრომოუშენი), ფესტივალებში მონაწილეობის მიღებისა და გასტროლების უზრუნველსაყოფად და ა.შ. გადაღებებზე გაწეული სახსრები აღიარებულია მიმდინარე წლის ხარჯად, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულება 500 ლარზე მეტია და აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

არამატერიალურ აქტივებზე სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ამორტიზაციის დარიცხვა არ ხორციელდებოდა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად;¹⁸ აქტივებზე დარიცხულია ამორტიზაციის 10%-იანი ნორმა. ასევე არ განხორციელდა უკვე ვადაგასული 3,900 ლარის საწყისი ღირებულების არამატერიალური აქტივის ჩამოწერა წლის ბოლოს 1,550 ლარის ნარჩენი ღირებულებით. შედეგად, აკადემიის მიერ წარდგენილ ბალანსში არამატერიალური აქტივების ნაშთი წლის ბოლოს გაზრდილია 5,813 ლარით.

ცხრილი N9. ინფორმაცია სამინისტროს სსიპ-ების არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო უზუსტობების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება	გაზრდილია ღირ-ბა 31.12.2018	შემცირებულია ღირ-ბა 31.12.2019
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	79,367	
სამინისტროს აპარატი	229,144	
სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა		315,729
სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	5,813	
სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი		23,066
ჯამი:	314,324	338,795

შედეგად, 314,324 ლარით შემცირებულია, ხოლო 338,795 ლარის ოდენობით გაზრდილია – არამატერიალური ძირითადი აქტივების ნაშთი.

¹⁸ ინსტრუქციის 158-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1.2.4 საინვესტიციო ქონება

არასწორი კლასიფიკაცია

სსიპ – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი

ცენტრის მიერ 13,600 ლარის ღირებულების 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი,¹⁹ რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით გაცემული აქვს 25-წლიანი იჯარით 32,910 ლარის წლიური საიჯარო ქირის გადახდით სს „სტადიუმ ჰოტელზე“, არ არის კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად.²⁰ აქტივი ბალანსში ასახულია არაწარმოებული აქტივების – მიწის საბალანსო ანგარიშზე.²¹

სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

ცენტრს შემოსავლების მიღების მიზნით, თბილისში მდებარე შენობაში 214 კვ.მ საერთო ფართი – 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 331,088 საბალანსო ღირებულების და 440 კვ.მ მიწის ნაკვეთი – 14,960 ლარის ღირებულებით,²² გასულ 2011-2013 წლებში იჯარით აქვს გაცემული 10 წლის ვადით შპს „ფოლკ გარდენ ფაინ ფუდ ენდ კატერინგზე“, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად.²³

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმა N1-ში გაზრდილად არის წარმოდგენილი „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი 331,088 ლარით, „არაწარმოებული აქტივების“ – 28,560 ლარით, ხოლო „საინვესტიციო ქონების“ საბალანსო ანგარიშის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 359,648 ლარის ოდენობით.

1.2.5 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ცვეთის ხარჯის ხელახალი გადათვლით გამოვლინდა, რომ ზოგიერთი სსიპ-ის მიერ ძირითადი საშუალებების წლიური ცვეთის დაანგარიშებისას დაშვებული იყო უზუსტობები, რომლებიც გავლენას ახდენდა აქტივების პერიოდის ბოლოს საბალანსო ღირებულებაზე, კერძოდ: ცვეთის დარიცხვის არასწორი პოლიტიკა, აქტივის მიმართ შეუსაბამო კოეფიციენტის გამოყენება და ა.შ.²⁴ სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ ცვეთის დარიცხვა არ წარმოებს დიმიტრი უზნაძის N52-ში მდებარე 4,204,764 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე შენობაზე, რადგან, უფლებამოსილი პირის განმარტებით, შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წელს არ მოხდა 42,048 ლარის ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლით ხარჯის დარიცხვა; იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული მემკვიდრეობითი აქტივებისათვის დამახასიათებელია მათი მემკვიდრეობითი ფასეულობისაგან განსხვავებული მომსახურების პოტენციალი, ასეთი ფასეულობები განიხილება ძირითად აქტივებად და მათი აღიარება და შეფასება ძირითადი აქტივების ანალოგიურად ხორციელდება.²⁵

¹⁹ საკადასტრო კოდი: 01.13.07.024.028.

²⁰ ინსტრუქციის 146-ე მუხლის „გ“ პუნქტი.

²¹ ინსტრუქციის 142-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

²² საკადასტრო კოდი: 01.16.05.013.023.

²³ ინსტრუქციის 146-ე მუხლის „გ“ პუნქტი.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია.

²⁵ ინსტრუქციის 142-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

ცხრილი N10. ინფორმაცია სამინისტროს სსიპ-ების მიერ 2018 წელს ძირითად აქტივებზე (მათ შორის, არამატერიალურ აქტივებზე) არასწორად დარიცხული ცვეთის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება	გაზრდილია	შემცირებულია
სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	3,049	0
სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	12,211	0
სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	9,577	22,018
სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	0	2,112
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	53,117	0
ა(ა)იპ – სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი	23,139	0
სამინისტროს აპარატი	0	42,048
სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	0	7,755
სულ:	101,093	73,933

არასწორად დარიცხული ცვეთის შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ფორმა N2) „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ 27,160 ლარით გაზრდილად არის ნაჩვენები, ხოლო გასულ წლებში ცვეთის არასწორი პოლიტიკით გამოწვეული უზუსტობების გავლენით, ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი შემცირებულია 989,316 ლარით.

გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვაში, მათ შორის, არამატერიალური აქტივების, არსებული ზემოაღნიშნული უზუსტობების შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „გრძელვადიანი აქტივების“ მუხლი წარდგენილია 4,652,607 ლარით შემცირებული ოდენობით.

აღრიცხვაში არსებული მოცემული უზუსტობები გამოწვეულია სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებულ დაწესებულებებს შორის შიდა კომუნიკაციაში არსებული ხარვეზებით; რიგ შემთხვევებში – ოპერაციებისა და სხვა მოვლენების მიმართ კონტროლის მექანიზმების არარსებობით ან კონტროლის არაეფექტიანი გარემოთი; რიგ შემთხვევებში – ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებასა და წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების შეცდომით; შედეგად, წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს (პარლამენტი, დაინტერესებული საზოგადოება) სრულად ვერ უზრუნველყოფს მისი უტყუარობის, სამართლიანობისა და სისრულის მოთხოვნას.

1.3 ვალდებულებები

სამინისტროს ვალდებულებების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N11. ინფორმაცია სამინისტროს ვალდებულებების შესახებ

დასახელება	ანგარიში	31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	18,430	338,350
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	50,776,483	58,034,139
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,256,074	1,109,143

ვალდებულებების არსებით ნაწილს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (კოდი: 32 02 01) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კრედიტორული დავალიანებები; გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებაში კი აღრიცხული სსიპ – ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ აღებული გრძელვადიანი სესხი.

კონსოლიდირებული ბალანსის „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში აღრიცხულია 1,867,399 ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, არ აკმაყოფილებს ვალდებულებად²⁶ აღიარების კრიტერიუმს და არ ექვემდებარება ვალდებულებების მუხლით აღრიცხვას, კერძოდ:

- ა(ა)იპ – სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბალანსში 2018 წლის დასაწყისიდან აღრიცხულია სამინისტროს მიმართ რიცხული კრედიტორული დავალიანება 1,794,771 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ წარმოადგენს ვალდებულებას. მოცემული დავალიანების წარმოშობის საფუძველია 2016 წელს კოლეჯს, სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზას“ და სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით სამინისტროს, სხვა ვალდებულებებთან ერთად, დაევა კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისათვის ხელშეწყობა და დაფინანსების მიზნით სარეაბილიტაციოდ განსაზღვრული ხარჯების 65%-ის ოდენობით შენატანის განხორციელება. სამუშაოები დასრულებულია და თანხა გადარიცხულია ეტაპობრივად 2017 წლის ბოლომდე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების, ექსპერტიზის დასკვნების და ანგარიშგაქტურების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსში 1,794,771 ლარით გაზრდილი ოდენობით არის წარდგენილი კრედიტორული დავალიანება, ხოლო იმავე თანხით შემცირებული – კაპიტალის წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები;
- ა(ა)იპ – სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბალანსში ვალდებულებების საბოლოო ნაშთში ასახულია 2,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – 5,353 ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს სსიპ – ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – „საქართველოსთან“ (MCA – GEORGIA) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხიდან განხორციელებული აქტივობების შემდეგ გაუხარჯავ სახსრებს, რაზედაც კოლეჯს აღარ გააჩნია არანაირი ვალდებულება, მათ შორის, არც თანხის უკან დაბრუნებაზე;
- სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ბალანსში კრედიტორულ დავალიანებაში ზედმეტადაა აღრიცხული შპს „ინოვაციისათვის“ გადასახდელი თანხა 62,062 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მიხედვით, შპს-ს შესრულების ვადის დარღვევის გამო ეკისრებოდა ჯარიმა და თეატრმა იმ რისკის გათვალისწინებით, რომ კომპანიას შეიძლებოდა არ გადაეხადა ის, ანგარიშწორება განხორციელა ჯარიმით შემცირებული თანხით, რაზეც მათ შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც კომპანია თანხმობას აცხადებდა ჯარიმის დაკისრებასა და გადასახდელ თანხაში მის გაქვითვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯარიმა 62,062 ლარის ოდენობით ექვემდებარება თეატრის შემოსავალში აღიარებას და არ წარმოადგენს კრედიტორულ დავალიანებას.
- სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ 5,213 ლარით

²⁶ ინსტრუქციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი და მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

გაზრდილადაა წარმოდგენილი წინასწარ გაყიდული ბილეთების მიხედვით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება.

სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით აღიარებული არ აქვს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული სახსრები. შედეგად, 2018 წლის ბოლოს კრედიტორული დავალიანების ნაშთი შემცირებულია 17,232 ლარით.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1) ვალდებულებები წარდგენილია 1,850,167 ლარით გაზრდილი ოდენობით (1,867,399-17,232).

აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გასულ წლებში წარმოშობილი 120,960 ლარის დებიტორული და 142,672 ლარის კრედიტორული დავალიანებების რეალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – წარმოშობის საფუძვლები: ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების და შედარების აქტები, დასტურის წერილები და ა.შ., მათ შორის: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბალანსში აღრიცხული დებიტორული დავალიანების შესახებ 45,131 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოქმნილია გასულ, 2010-2011 წლებში უცხოელ მასწავლებლებთან გაფორმებული ელექტრონული კონტრაქტების ფარგლებში, რომელთა საფუძველზე ხდებოდა მათთვის ავიაბილეთის შეძენა საქართველოში ჩამოსვლის და ინგლისურ ენაში გაკვეთილების ჩატარების მიზნით; სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბალანსში აღრიცხული 58,036 ლარის კრედიტორული დავალიანების შესახებ, რომელიც მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით წარმოიშვა 2002 წელს სს „სამშენებლო ტრესტი 2“-ის მიერ აკადემიაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების საფუძველზე და ა.შ.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული ზემოაღნიშნული, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთის არსებობასა და სისწორეზე შემდეგი სსიპ-ების მიხედვით:

ცხრილი N12. ინფორმაცია დაუდასტურებელი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება	დაუდასტურებელი დებიტორული დავალიანება	დაუდასტურებელი კრედიტორული დავალიანება
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	50,033	7,209
სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	61,545	54,336
სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	0	81,127
სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	9,382	0
სულ:	120,960	142,672

1.4 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა მუხლი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა მუხლი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაცია ასევე ზრდის აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.

2018 წელს არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია: სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში (შედგენილია მხოლოდ წლის ბოლოს რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ შედარების აქტები), ხოლო სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულია ნაწილობრივ: არ არის ჩატარებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები.²⁷ ამასთანავე, ვერ ვრწმუნდებით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, ფორმა N1-ში ასახული 114,473,415 ლარის ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების, მატერიალური მარაგების და 13,501,608 ლარის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთის არსებობაში, სიზუსტესა და სისრულეში.

1.5 შემოსავლები

სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

აკადემიას საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული სახსრები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ აქვს დარიცხვის მეთოდით. შედეგად, შემცირებულია 2018 წლის შემოსავალი ფორმა N2-ში – 32,910 ლარით.

სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- 2018 წელს უნივერსიტეტის მიერ სააღრიცხვო რეგისტრების შესაბამისად 14,380 ლარით შემცირებულია სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხული შემოსავალი და შესაბამისად, დებიტორული დავალიანება.
- უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე²⁸ 47,6 კვ.მ ფართზე განთავსებულია და ფუნქციონირებს კაფეტერია/ბუფეტი, რომლის მუშაობას უზრუნველყოფს კერძო კომპანია. აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული ფართის იჯარით გაცემაზე უნივერსიტეტს 2018 წელს ელექტრონული აუქციონი გამოცხადებული არ ჰქონია. 2018 წელს აუდიტორულმა კომპანიამ²⁹ აღნიშნული ფართის საიჯარო გადასახადი შეაფასა წლიურ – 2,052 ლარად (ყოველთვიური გადასახადი – 171 ლარის ოდენობით), რაც უნივერსიტეტის მიერ არ არის აღიარებული შემოსავლად.
- 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სპორტული მოედნებისა და დარბაზების საათობრივი გაქირავებიდან მისაღები

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“.

²⁸ საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.118, შენობა N1.

²⁹ შპს „აუდიტ-აისი“.

შემოსავლების გაანგარიშებით და მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, გამოვლინდა 3,577 ლარის აღურიცხავი შემოსავალი, შესაბამისად, ამავე თანხით შემცირებულია ორგანიზაციის დებიტორული დავალიანებაც.

ცხრილი N13. სამინისტროში საანგარიშო პერიოდში აღურიცხავი შემოსავლების შესახებ

ორგანიზაციები	თანხა
სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	32,910
სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	20,009
სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ³⁰	67,275
სულ:	120,194

წარმოდგენილი სააღრიცხვო ნაკლოვანებები გამოწვეულია ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების წარმოებაში კონტროლის არასათანადო მექანიზმების არსებობით, რაც ზრდის ორგანიზაციის კუთვნილი სახსრების/აქტივების უკანონოდ მითვისების/დაუფლების რისკებს.

1.6 კაპიტალი

ორგანიზაციების საერთო საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული დამაბალანსებელი მუხლები – წმინდა ღირებულების (5100) და საკუთარი კაპიტალის (5200) ანგარიშები – სამინისტროს კონსოლიდირებული ანგარიშების კაპიტალის სტრუქტურაში წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N14. კაპიტალის სტრუქტურა

დასახელება	ანგარიში	თანხა 31.12.2018	თანხა 31.12.2017
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	2,221,080,242	1,989,659,791
გაუნაწილებელი მოგება	5220	352,732,769	303,324,137
დაუფარავი ზარალი	5230	0	0
სულ კაპიტალი:		2,573,813,011	2,292,983,928

აუდიტის ანგარიშში ასახულ ზემოაღნიშნულ სააღრიცხვო უზუსტობებს აქვს შემდეგი გავლენა კაპიტალის საბალანსო ანგარიშის საბოლოო ნაშთზე:

- გრძელვადიანი აქტივების (მათ შორის, არამატერიალური აქტივები) სააღრიცხვო უზუსტობებით გაზრდილია 758,392 ლარით, შემცირებულია – 4,690,996 ლარით;³¹
- აქტივების არასწორი კლასიფიკაციით – გაზრდილია 242,153 ლარით;³²
- ძირითადი აქტივების ცვეთის თანხის არასწორად გაანგარიშებით გაზრდილია 181,323 ლარით, შემცირებულია – 1,197,799 ლარით;³³
- შემოსავლების სააღრიცხვო უზუსტობებით შემცირებულია 120,194 ლარით;³⁴

³⁰ დეტალურად იხ. საკითხი 1.3.

³¹ დეტალურად იხ. საკითხები: 1.2.1 და 1.2.3.

³² დეტალურად იხ. საკითხი 1.2.2.

³³ დეტალურად იხ. საკითხი 1.2.5.

³⁴ დეტალურად იხ. საკითხი 1.5.

- არასწორად აღრიცხული კრედიტორული დავალიანებით შემცირებულია 1,794,771 ლარის ოდენობით.³⁵

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

³⁵ დეტალურად იხ. საკითხი 1.3.

2. სხვა საკითხები

2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნების შესასრულებლად, მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით არ არის შემუშავებული და დამტკიცებული³⁶ ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა.³⁷ აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის წესების შესახებ და სხვ. აქედან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცავს და უზრუნველყოფს შესაბამისსა და საიმედო ინფორმაციას იმ ოპერაციების, სხვა მოვლენების ან მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.³⁸

2.2 სამივლინებო ხარჯები

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 25 აგვისტოს N02-1967 ბრძანებით, სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლებისთვის დამტკიცდა ქვეყნის გარეთ და შიგნით მივლინებისას საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სადღელამისო ნორმებს ზემოთ დანამატი:

1. სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად უნივერსიტეტის რექტორის საქართველოს ტერიტორიაზე მივლინებისას – 100 ლარის ოდენობით.
2. სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ (იხ. ცხრილი N15).

ცხრილი N15. ინფორმაცია ილიას უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სადღელამისო ნორმებს ზემოთ დანამატის შესახებ

დაკავებული თანამდებობა	ევროპის ქვეყნები	სხვა დანარჩენი
რექტორი	100 ევრო	100 აშშ \$
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	70 ევრო	70 აშშ \$
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეები	50 ევრო	50 აშშ \$
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	50 ევრო	50 აშშ \$
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი	70 ევრო	70 აშშ \$
ბიბლიოთეკის დირექტორი	50 ევრო	50 აშშ \$
დეკანი	50 ევრო	50 აშშ \$
ინსტიტუტის დირექტორი	50 ევრო	50 აშშ \$

უნივერსიტეტის მიერ 2018 წელს კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, ზედმეტად ანაზღაურებულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების ხარჯი – 18,555 ლარი, საიდანაც 3,073 ლარი სასტუმროს დაქირავების ხარჯია.

³⁶ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁷ ინსტრუქციის მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

³⁸ ინსტრუქციის მე-12 მუხლი.

სამინისტროს ზოგიერთ სსიპ-ში ასევე დადგენილ ნორმაზე მეტი ოდენობით ანაზღაურდა მივლინებების მუხლით გაწეული სადღეღამისო და სასტუმროს ხარჯები, კერძოდ:

ცხრილი N16. სამინისტროში დადგენილ ოდენობაზე მეტი სამივლინებო თანხების გაცემის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება	თანხა
სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	9,368
სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	1,185
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	18,555
სულ:	29,108

2.3 კაპიტალში შენატანი

სამინისტროს მიერ 2018 წლის 19 დეკემბრის N603 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა შპს „სპორტმშენსერვისისათვის“ კაპიტალში შენატანი – 300,000 ლარის ოდენობით, ქ. თბილისში ასაშენებელი „ჭიდაობის სახლის“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის უზრუნველსაყოფად, რომელიც გადაერიცხა შპს-ს 2018 წლის 21 დეკემბერს.

აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად გამოვლინდა, რომ შპს-სთვის აღნიშნული თანხის გადარიცხვა განხორციელდა არსებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, კერძოდ, საქართველოს მთავრობის განკარგულების³⁹ შესაბამისად, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის, კაპიტალში შენატანის სახით სახსრების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ამ განკარგულებით გათვალისწინებული რამდენიმე პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი, შემდეგია: საწარმოს ბოლო 3 წლის (აუდირებული) ანგარიშგებიდან, 2 წელიწადში მაინც არ აქვს ზარალი. შპს „სპორტმშენსერვისმა“ კი ბოლო სამი წლიდან (2015-2017 წლები) 2 წელი დაასრულა ზარალით.

2.4 ძირითადი აქტივები

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ბალანსზე 2018 წლის ბოლოს, 1,834,504 ლარად აღრიცხული საერთო საცხოვრებლის 1,645 კვ.მ ფართის მქონე შენობაში,⁴⁰ 1993 წლიდან განსახლებულნი არიან აფხაზეთიდან დევნილი ოჯახები. 2014 წელს შენობის რეალური ღირებულება შეადგენდა 1,910,942 ლარს. მოცემული ძირითადი აქტივი არ გამოიყენება ეკონომიკურ საქმიანობაში.

³⁹ 2017 წლის 28 დეკემბრის N2737 განკარგულება.

⁴⁰ კამპუსი – საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.086.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები**ხელმოწერა**

ლალი სეხნიაშვილი
წამყვანი აუდიტორი

ნაია ზოფერია
უფროსი აუდიტორი

ნანა ფიფია
აუდიტორი

ნინო ნიშნიანიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ნინო გოზალიშვილი
აუდიტორ-ასისტენტი

ლ. სეხნიაშვილი

ნ. ზოფერია

ნ. ფიფია

ნ. ნიშნიანიძე

ნ. გოზალიშვილი

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	210,643,746	186,755,856
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	46,079,608	47,129,343
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	78,781,685	52,376,984
სხვა მატერიალური მარაგები	1620	21,883,755	20,338,583
სულ მოკლევადიანი აქტივები		357,388,794	306,600,766
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	98,327,138	100,956,461
სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	12,902,086	11,780,195
ძირითადი აქტივები	2100	1,613,583,792	1,401,538,503
ფასეულობები	2300	3,458,669	3,294,270
არაწარმოებული აქტივები	2400	541,202,853	528,293,755
საინვესტიციო ქონება	2500	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,269,474,538	2,045,863,184
ბალანსი		2,626,863,332	2,352,463,950
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	18,430	338,350
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	50,776,483	58,034,139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		50,794,913	58,372,489
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,256,074	1,109,143
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,256,074	1,109,143
სულ ვალდებულებები		53,050,987	59,481,632
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	2,221,080,242	1,989,659,791
გაუნაწილებელი მოგება	5220	352,732,769	303,324,137
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
სულ კაპიტალი		2,573,813,011	2,292,983,928
ბალანსი		2,626,863,998	2,352,465,560

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,511,780,278		1,511,780,278	1,226,988,091
შემოსავლები	76,252,998	987,389,857	1,063,642,855	428,927,577
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	71,422,832	46,111,992	117,534,824	87,268,228
სხვა შემოსავლები	4,830,166	941,277,865	946,108,031	341,659,349
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	33,235	17,999,348	18,032,583	4,677,072
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	910,351,920	910,351,920	317,823,339
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	128,620.00	800,036	928,656	809,439
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	4,169,703.00	4,004,337	8,174,040	6,468,033
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	498,608.00	8,122,224	8,620,832	11,881,466
სულ:	1,588,033,276	987,389,857	2,575,423,133	1,655,915,667
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	83,668,759	136,774,492	220,443,251	201,137,054
საქონელი და მომსახურება	126,163,278	149,311,478	275,474,756	226,681,681
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	41,487,221	16,110,079	57,597,300	47,589,782
პროცენტი	-	101,248	101,248	75,491
სუბსიდიები	168,006,126	1,595,689	169,601,815	86,933,387
გრანტები	67,927,939	2,664,438	70,592,377	95,308,999
სოციალური უზრუნველყოფა	5,023,183	1,339,915	6,363,098	5,198,676
სხვა ხარჯები	886,736,769	627,692,523	1,514,429,292	863,991,008
სულ:	1,379,013,275	935,589,862	2,314,603,137	1,526,916,078
ფინანსური შედეგი	209,020,001	51,799,995	260,819,996	128,999,589

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	160,593,427	49,408,632	70,827,024	280,829,083
კორექტირებები:	(64,120,308)	27,839,873	-	(36,280,435)
ცვეთა (+)	41,487,221	16,110,079	-	57,597,300
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(57,169,283)	248,139	-	(56,921,144)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(721,346)	(823,826)	-	(1,545,172)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	(1,281,711)	159,820	-	(1,121,891)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(29,081,712)	2,748,874	-	(26,332,838)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(17,353,477)	9,396,787	-	(7,956,690)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	96,473,119	77,248,505	70,827,024	244,548,648
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	94,752,189	56,986,841	54,651,836	206,390,866
ძირითადი აქტივები	94,648,108	56,956,174	54,651,836	206,256,118
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	103,781	27,263	-	131,044
არაწარმოებული აქტივები	300	3,405	-	3,705
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(94,752,189)	(56,986,841)	(54,651,836)	(206,390,866)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	185,125	-	(16,175,188)	(15,990,063)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(319,920)	2,040,090	-	1,720,170
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(134,795)	2,040,090	(16,175,188)	(14,269,893)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	1,586,135	22,301,754	-	23,887,889
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	10,629,922	176,125,934	-	186,755,856
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	11,552,125	199,091,621	-	210,643,746

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	1,984,693,562	303,289,233	2,287,982,795
საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	4,966,229	34,904	5,001,133
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	1,989,659,791	303,324,137	2,292,983,928
არასაოპერაციო შემოსავლები	29,041,085	14,330,253	43,371,338
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი	456,483	12,983,599	13,440,082
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	28,584,602	1,346,654	29,931,257
არასაოპერაციო ხარჯები	3,368,338	13,467,463	16,835,800
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	109,656	12,053,432	12,163,088
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3,258,682	1,414,031	4,672,712
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	3,272,299	3,254,153	6,526,452
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	3,272,299	560,740	3,833,039
მოგების გადასახადი	-	2,693,413	2,693,413
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	209,020,001	51,799,995	260,819,996
ნაშთი წლის ბოლოს	2,221,080,241	352,732,769	2,573,813,010

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმასა შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	1,374,786,000	1,340,281,676	(0)	1,345,901,065	0	1,379,013,275	33,112,210
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	81,401,000	79,316,039	(0)	79,465,870	0	83,668,759	4,202,889
არაფინანსური აქტივების ზრდა	93,884,000	129,969,274	0	149,404,025	0	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	20,300,000	20,600,000	0	16,475,188	(0)	-	-
ვალდებულებების კლება	10,000	-	-	-	-	-	-

კონსოლიდირებული ერთეულები

1. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
2. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
3. სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
4. სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.
5. სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.
6. სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.
7. სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი.
8. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
9. სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.
10. სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
11. სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.
12. სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.
13. სსიპ – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი.
14. სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი.
15. სსიპ – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო (MCA - GEORGIA).
16. სსიპ – 2 084 საჯარო სკოლა.
17. სსიპ – 16 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – უნივერსიტეტი.
18. სსიპ – 34 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯი.
19. საგანმანათლებლო რაიონული რესურსცენტრი – 68.
20. სახელმწიფო თეატრი – 29.
21. მუზეუმი – 25.
22. სახელმწიფო ანსამბლი – 4.
23. ორკესტრი/მუსიკალური ცენტრი – 9.
24. სსიპ – შემოქმედებითი საქართველო.
25. სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
26. სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.
27. სსიპ – მწერალთა სახლი.
28. სსიპ – ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი.
29. ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი.
30. სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE